შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000339

27/12/2024

კოლეჯ მერიდიანის ხელმძღვანელს,
ქალბატონ ნინო ორაგველიძეს,
ამავე კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის
ლანა ღოღობერიძის

მოხსენებითი ბარათი

კოლეჯი "მერიდიანის" ხარისხის სამსახური მიზნად ისახავს მაღალი დონის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას და საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. სამსახური აქტიურად მონაწილეობს კოლეჯის მასშტაბით საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფასა და გაუმჯობესებაში.

2023-2024 წლის ხარისხის სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყო 4 მიზანი, თავისი შესარულებელი ამოცანებით, აქედან გამომდინარე წარმოგიდგენთ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

მიზანი N 1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა.

პირველი და მეორე ამოცანა ამ მიზნის შესრულებისთვის იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების პროცედურების შემოწმება და ახალი პროგრამის განხორციელების შემოწმება, თუმცა იქედან გამომდინარე რომ ამისი საჭიროება არ დამდგარა, ეს აქტივობები არ განხორციელებულა.

ამოცანა №3 პროფესიული სტუდენტების/ სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვალიდაცია/ვერიფიკაცია.

სწავლის შედეგების ვალიდიაცია და ვერიფიკაცია განხორციელდა კოლეჯში არსებული მარეგულერებელი მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის და ვალიდაციის პროცესი დარეგულირებულია შესაბამისი ბრძანებით.

ამოცანა №4 ხარისხის შიდა მექანიზმების დანერგვა, ეფექტიანი შიდა მონიტორინგის (შეფასების ციკლური სისტემის ამოქმედება) განხორციელება. ამ კუთხით გეგმის შესაბამისად განხორციელდა სტუდენტთა კვლევა და ამ კვლევების ანალიზები, რომელიც მიწოდებულია კოლეჯის ხელმძღვანელისთვის.

ამოცანა №5 სასწავლო პროცესის ეფექტურობის დადგენა. ამ ნაწილში მოიზარება პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი, რომელიც რჩება მიმდინარე პროცესად, იქედან გამომდინარე რომ პროგრამა არ დასრულებულა.

ამოცანა №6 ახალი მიღება არსებულ პროგრამაზე.

2024 წლის მიღებისთვის კოლეჯში მიღება გამოცხადდა ორ ეტაპად, საგაზაფხულო მიღება და საშემოდგმო მიღება, რომლისთვისაც თითოეულ ეტაპზე მოხდა მონიტორინგი და დაიწერა საერთო ანგარიში.

მიზანი N2 - სტუდენტთა კორპუსის მართვა და მათი მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება.

ამოცანა №1 პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურების, გარე და შიდა მობილობის პროცედურების განხორციელების შეფასება . სტუდენტთა სტატუსის მოპოვების პროცედურები დაჯკავშირებულია ჩარიცხვის პროცედურებთან შესაბამისად ამ ნაწილში განხორციელდა შემოწმება, რაც შეეხება სტასტუსის შეჩერებას და შეწყვეტას ამისი საჭიროება არ დამდგარა.

ამოცანა №2 პროფესიული სტუდენტებისთვის კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვის შეფასება.

ამ კუთხით განხორციელდა დამსაქმებელ კომპანიებთან შეხვედრა , ასევე მოეწყო ღია ლექციები ცნობილ დარგის სპეციალისტებთან. რისი ამსახველი ფოტო-მასალაც წარმოდგენილია კოლეჯის შესააბამის არხებზე.

მიზანი N 3 - პერსონალის განვითარება

ამოცანა №1 საჭიროებიდან გამომდინარე მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვის პროცესის შეფასება. კადრების საჭიროება ძირითადად განხორციელდა პროფესიული მასწვალებლების კუთხით . მასწავლებლებთან დაიდო შესაბამისი ხელსეკრულებები. ასევე დანიშნულ იქნა პრაქტიკის ხელმძღვანელი.

ამოცანა №2 პერსონალის პროფესიული ზრდის უზრუნველმყოფელი სისტემის შექმნის შეფასება.

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად, ჩატარდა როგორც ადმინისტრაციული თანამშრომლების, ასევე პროფესიულ მასწავლებლების კმაყოფილებათა კვლვები და წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ანალიზები, რომელზე დაყრდონიაც კოლეჯის ხელმძღვანელობა სამოქმედო გეგმაში შეიტანს შესააბამის აქტივობებს.

მიზანი N4 - მატერიალურ-ტექნიკური და საინფორმაციო რესურსების მართვა.

ამოცანა N1 მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრულყოფის შეფასება. აღნიშნული ამოცანა შესრულდა სხვადასხვა აქტივობებით, კერძოდ პროფესიული სტუდენტები, პროფესიული მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი გამოიკითხა ამ კუთხით და შეფასდა მათი კმაყოფილება.

ამოცანა N 2 ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვის პროცესის შეფასება.

პორტალზე მუშაობა ჯერ კიდევ პროცესშია, საცდელი ვერსია ჩაშვებულია და მიმდინარეობს მისი დახვეწა. მუშაობის პოროცესში ჩართუილია მთელი ადმინისტრაცია, რათა ფუნქციონალები შეიქმნას შესაბამისად და არ იქნეს გაპარული მნიშვნელოვანი ხარვეზი. ამ ეტაპზე შემუშავებულია სტუდენტისა და მასწავლებლის მხარე.

ამოცანა N 3 საბიბლიოთეკო რესურსების განვითარების მონიტორინგი

განხორციელდა სტუდენტთა საბიბლიოთეკო რესურსების კმაყოფილების კვლევა და შესაბამისი ანალიზი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ბიბლიოეთაკაში არსებული ლიტერატურა აკმაყოფილებს სტუდენტთა მოთხოვნებს შესაბამისად მისი სრულყოფის საჭიროება არ დამდგარა.

ამოცანა N 4 საინფორმაციო არხების დახვეწა და განვითარება.

ამ კუთხით შემუშავდა შეფასების ფორმა, რომლის წარმოებაც ხდებოდა ყოველი თვის ბოლო. აღნიშნული დოკუმენტით ფასდება, როგორც ვებ-გვერდი, ასევე სოციალური ქსელები. კოლეჯის ყველა აქტივობა ასახულია შესაბამის საინფორმაციო არხებში.

შპს კოლეჯი მერიდიანი
განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ღოღობერიძე ლანა